ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №9/25 CPV 55330000

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 5 მაისი 2017 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ალბატროს +“ (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), წარმოდგენილი დირექტორის, დავით ბეგიაშვილის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის ეკა ეკალაძის მოხსენებითი ბარათი, კანცელარიის #1031, 04.05.2017წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში, ემორის უნივერსიტეტის პროფესორების ვიზიტთან დაკავშირებით ვახშამის მოწყობა 7 პერსონაზე რესტორანში „ძველი როიალი“.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის თარიღია 2017 წლის 6 მაისი.

2.2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.

5.3.2 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.3.3. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.3. საჯარიმო სანქციისა არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ცვლილება ფორმდება შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი ეკა ეკალაძე.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო	შპს „ალბატროს +"
სამედიცინო უნივერსიტეტი	მის: მცხეთა, ნატახტარი, ნარეკვავი, სს
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33	"ალბატროს პეტროლიუმი"-ს მიმდებარე ტერიტორია
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 236081967
სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22	სს თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22
ა/ა GE24NB 0330100200165022	ა/ა GE81TB0600000107467437
თსსუ-ს კანცლერი	შპს „ალბატროს + "დირექტორი
ზურაბ ორკონიკიძე	დავით ბეგიაშვილი
_____	_____